ზოგადსაგანმანათლებლო
დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო

27/08/2024

MES 3 24 0001022502

გადაწყვეტილება

შპს - ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი - ბათუმის ავტორიზაციის შესახებ

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-11 პუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის, შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს - ამერიკულ საერთაშორისო სკოლა პროგრესი - ბათუმს (ს/კ: 445740075) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი;
2. შპს - ამერიკულ საერთაშორისო სკოლა პროგრესი - ბათუმს მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამები;
3. შპს - ამერიკულ საერთაშორისო სკოლა პროგრესი - ბათუმს მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1000-ით;
4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 27 აგვისტოს N1022339 სხდომის ოქმის პირველი ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად;
5. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2024 წლის 25 აგვისტო;
6. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით (შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. მეორე შესახვევი №2) ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით (შემდეგ მისამართზე: დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

დანართი:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის	ზოგადსაგანმანათლებლო	ზოგადსაგანმანათლებლო	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების

	სახელწოდება	პროგრამის საფეხური	პროგრამის განხორციელების ენა	ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქ. ბათუმი, ვახტანგ შამილაძის ქუჩა N30
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქ. ბათუმი, ვახტანგ შამილაძის ქუჩა N30
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქ. ბათუმი, ვახტანგ შამილაძის ქუჩა N30

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა